ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი—3 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 2 კვირა, მარტის 2 | ფასი 3 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება''-ზე წლიური ფასი 25 მან.



კომპოზიტორი
**დიმ. ევგ. არაყიშვილი**
ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“-ს დამწერი. სამუსიკო მოღვაწეობის 15 წ. შესრულების გამო.



რეჟისორი
**ა. რ. წუწუნავა**
სახელმწ. თეატრის კომისარი. პირველ ქართულ ოპერათა დამდგმელი.



კომპოზიტორი
**ზაქ. პეტ. ფალიაშვილი**
ოპერა ,,აბესალომ და ეთერი''-ს დამწერი, სამუსიკო მოღვაწეობის 25 წ. შესრულების გამო.



**შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე**
თბილისის საგუბერნიო კომისარი, ქ. თბილისის და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი. (იხ, ცნობა 16 გვ.)

K-5810

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ხანა

მიმდინარე წელიწადი ჩვენი საოპერო ხელოვნების დასაწყისია: თებერვალში ზედი ზედ დაიდგა ორი ქართული ოპერა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (ლიბრეტო ი. მჭედლიშვილის) და ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (ლიბრეტო პ. მირიანაშვილისა).

ეს ორივე ნაწარმოები ყოველ მხრივ ღირსეული სამუსიკო სახელოვნო ნაწარმოებია, ღირსი ევროპიულ სცენებისა. რომელი მხრითაც უნდა შეხედოთ ამ ნაწარმოებთ, იდეურ, სამუსიკო სამხატვრო თუ სხ., მოგხიბლავთ. ეს ნაწარმოებნი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ რომ ქართული ოპერა საერთაშორისო ოპერათა ოჯახში ზეიმით შევა და ქართულ საოპერო ხელოვნებას დიდი მომავალი ექნება. ჩვენ ხალხში დიდი სამუსიკო განძია დამარხული და ამას დამუშავება უნდა. დიდი მადლობა ჩვენი ოპერის მერცხლებს — დ. არაყიშვილს და ზ ფალიაშვილს, სალამი და გამარჯვება ჩვენის სამშობლო ჰანგთა განვითარების მუშაკთ,

დრამის მხრითაც ახალი მოვლენა შევნიშნეთ. ეს არის ს. გედევანიშვილის „სინათლე“ — და მეორე ნაწილი რომელსაც ხალხი გატაცებით ეწაფება ეს მოვლენა ნათელ ჰყოფს, თანამედროვე სადრამო შემოქმედება რა გზას უნდა დაადგეს, — ერთფეროვანი უძრავ მდგომარეობიდან, მრავალ-ფერ მოძრაობისკენ უნდა წარიმართოს: სიტყვა, ცეკვა, სიმღერა, სანახაობა, — აი რას მოითხოვს თანამედროვე ადამიანის სული.

მართალია, ჩვენის თავისუფლების მტერნი გარედან ირგვლივ ჯოჯოხეთურ კოცონს გვიგიზგიზებენ, მაგრამ შიგნიდან ჩვენის ხელოვნების ქურუმნი უფრო ძლიერ ცეცხლს ანთებენ, ცეცხლს სიყვარულისას, ადამიანობისას, მოქალაქეობისას, — და ჩვენი ბრწყინვალე მომავალიც ამაშია.

დაიწყო ახალი ხანა! გაუმარჯოს მის წინსვლას!

## ჟამი განცდისა

ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია, ჩვენზეა ნათქვამი.

ჩვენი სამშობლოს თავისუფლება, საქართველოს მუშა მშრომელი ხალხის თვითმოქმედება, წოდებრიობის მოსპობა, მიწა-მამულის გლეხებზე განაწილება, მწერლობის მტერთა ბრჭყალებიდან განთავისუფლება და სამშობლო ხელოვნების ეროვნულ ნიადაგზე შედგომა აი ვარდი ჩვენის გულისა...

ყველა ამისათვის რომ გარეშე მტერნი და შინაური უცხო ტომის მტერ-მოყვარენი გამძაფრებით გვებრძვიან, — ეს არ გვიკვირს, — გასაოცარი და სამწუხარო ისაა, რომ თვით ჩვენში — ქართველებში ჯერაც კიდევ ბევრია ისეთი, რომელიც ამ ვარდს ირგვლივ ეკლებს კი არ აცლის არამედ თვითვე ჰმოსავს ეკლებით...

ვერ იქმნა და ისტორიის გაკვეთილები ჯერაც ვერ შევისწავლეთ რომ შეცდომები არ გავიმეოროთ: წინად თუ კუთხურ-წოდებრივი სიბეცე გვღუპავდა, დღეს პარტიულ-ჯგუფური ლიბრი თვალიდან ვერ მოგვიშორებია.

ის როდი კმარა, ქართველი ვართ, ვიძახოთ, ან ამა თუ იმ პარტიის წევრიო, და პარტიული შეურიგებლობით ქვეყნის სასარგებლო მუშაკებს გზა ავუქციოთ, არამედ ისა, რომ საუკეთესო მართვა-გამგეობით შინაურსა და შორით მაყურებელსაც თავი შევაყვაროთ... პარტიული ჟინიანობით კი ბევრ ჩვენს საზოგადო საქვეყნო დაწესებულებაში ან საკუთარი უვიცი კაცი გვიზის, ან უცხო ტომელი — ეკალი ჩვენი ვარდისა!..

უდიდესი განცდის ჟამია! ამას ყველა შეგნებული ადამიანი უნდა ჰგრძნობდეს და უზადო რწმენით ემსახურებოდეს ჩვენის ქვეყნის დაცვას აღყვავებას, წინსვლას.

შენ ჩემობის დრო აღარ არის: საქართველოს ყველა ერთგულ შვილს, დემოკრატიის ნამდვილ წევრს როგორც წინადაც მითქვამს ასი თვალის, ასი ყურის გაშომბმა ჰმართებს ჩვენის თავისუფლების სადარაჯოდ, ამდენივე ხელი ამ თავისუფლების დასაცავად და განსამტკიცებლად.

იოსებ იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პროფესორი იოსებ ყიფშიძე (1882-1919)**

თებერ, 21 ქართულ უნივერსიტეტს აუნაზღაურებელი ზიანი მიეცა. მცირე ავამყოფობის შემდეგ სახადით გარდაიცვალა პროფ. იოსებ ყიფშიძე. დაიბ 1882წ ქრისტეშობისთვის 25  დ ქუთაისის სასულ. სასწავლ. დასრულების შემდეგ უმაღლეს საენათმეცნიერო განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკო-მათემატიკურ [საბუნების მეტყველო] და აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე. 1911 წ. იქვე ქართული ენის ლექტორად მიიწვიეს 1915 წ. ძველი ქართული ენის ლექციებს კითხულებდა, 1917 წ. სამშობლოში ჩამოვიდა. 1918 წ. არჩეულ იქმნა ქართ. უნივ. პროფესორთა საბჭოს მდივნად, ხოლო უნივერსიტეტის გაღებისთანავე —მას მიენდო ძველი ქართული ენის კათედრა დ ლექციებს კითხულობდა ძველ ქართ. ლიტერატურის შესახებ. მოვლო სამეგრელო-ჭანეთი და დიდძალი მასალებიც შეჰკრიბა. შეადგინა მეგრული გრამატიკა, რისტომატიით და ლექსიკონით (გამოცემული პეტ. აკედ. აქვს კიდევ მრავალი სამეცნიერო შრომა რუსულად და ქართულად. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენის ნორჩი ენათმეცნიერებისთვის, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა.

იყო მადლმოსილი, გონება-ნათელი, გულით უზადო, საყველთაოდ საყვარელი, თავ დაბალი და მუყაითი მშრომელი ადამიანი.

დაკრძალეს დიდუბის პანთეონში თებერ. 25 დაესწრო დიდძალი საზოგადოება. გლოვით აღსავე.

ჩვენი სამშობლო უნივერსიტეტი, ენათ მეცნიერება დ ქართული საზოგადოება მის სახელს ვერ დაივიწყებს. უკვდავიმც იყოს ხსენება მისი

ი—ლი

## წერილები ხელოვნებაზე

ქართულ კლუბის პატარა სცენა შეაკეთეს. აქ ქართული დრამატიული საზოგადოების სტუდია ოთხ შაბათ-შაბათობით მართავს ქართულ წარმოდგენებს უკვე დაიდგა: ,,ვითა ფოთლები,'' ,,ბურუსი'' და სხ. შესრულების მხრივ ახალგაზდა მსახიობთ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ყველა უნაკლულოდ ასრულებდა თავის როლს, კერძოდ აღსანიშნავი არიან: ანჯაფარიძე, ქიქოძე, გელოვანი, სანაძე და სხ., რომელიც ჩვენს ნამდვილ მსახიობებით ღარიბ სცენაზე ძლიერ ძალას წარმოადგენენ. ჩვენი საზოგადოება კი გულცივათ ეკიდება ამ დიად საქმის დაწყებას. მაშინ როდესაც რუსულ ოპერები გაჭედილია ჩვენი საზოგადოებით, ჩვენთვის უცხო ხელოვნების წარმოდგენილს ვასაჩუქრებთ პირველ ჩვენი ხელოვნების ჯილდოთი: ქნარ და დერბით, ჩვენი კლუბის სცენის აუდტორია, სადაც იზრდებიან ნამდვილი სცენის მუშაკნი, თითქმის ცარიელია. დიდი საყვედური ჩვენს საზოგადოებას, სადაში ახალგაზრდა მუშაკთ და მათ ხელმძღვანელთ.

როგორც იქმნა სახელმწიფო თეატრის სცენაზე გავიგონეთ მშობლიური ჰანგები, დაიდგა ორიგინალური ოპერები დ არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' და ზ. ფალიაშვილის ,,აბე სალომ და ეთერი'', გარდა იმისა, რომ ოპერები ეროვნულია, შესრულებამაც ყოველს მოლოდინს გადააჭარბა. თურმე ავყოლია ქართული საოპერო ძალები, გვქონია რეპერტუარი და სხ., გვაკლდა ენერგია და სურვილი. იმედია ქართ. ოპერების რეპერტუარი ამით არ განისაზღვრება და მალე ვნახავთ სხვა ორიგინალურ ოპერებსაც, მაგალითად კ. ფოცხვერაშვილის: ,,ბრძოლა ბაყბაყ მდევთან'' რ. გოგნიაშვილის ,,ჯადოსანი'', ჯაბადრის, დოლიძის და სხ.

სვ. წერეთელი

# ცხოვრების გზაზე

**მიასვენებენ.**

სამგლოვიარო ჰიმნი კვნესით მოარღვევს ჰაერს...
აუარებელ ხალხს მოუყრია თავი...
—შეჩერდით!-ხმამაღლა დაიძახა ვიღამაც..
ზღვა ხალხი შესდგა!..

—მამულიშვილნო!.. კიდევ რამდენიმე წუთი და ჩვენს სიამაყეს სამუდამოთ ჩაიკრავს გულში შავი მიწა

უკანასკნელათ მოვიყაროთ მუხლი ძვირფასს ცხედრის წინაშე და ერთხმათ შევფიცოთ, რომ ჩვენ მის იდეალებს არ ვუღალატობთ.

ერთხელ კიდევ დავდოთ ფიცი. რომ არასოდეს არ გადაუხვუხვევთ მისგან ნაჩვენებ გზას!!.—..ლაპარაკობს ერთი.

—დიახ!.. მწარე სინამდვილის წინაშე ვსდგევართ.

ალარ ვყვავს დიდებული მოაზროვნე... ხალხის გულის მესაიდუმლე...

სამუდამოთ დადუმდნენ ბაგენი მისნი...

დაობლებული ერი ძძებით მოირთო...

ვინღა გაგვიწევს მის მაგივრობას!!. დასძენს მეორე

მეორეს სცვლის მესამე... მესამეს მეოთხე... მეოთხეს მეხუთე.

უთვალავი ლამაზი სიტყვები... ქება-დიდება... გვირგვინები.

ნეტა ვინ არის, რომ ასე გულსაკლავათ მოსტირიან?—იკითხა ერთმა გამვლელმა.

—როგორ არ იცი... ეგ ხომ ჩვენი მწერალი №-ია

ეროვნული ბიბლიოთეკა



—მწერალი №-ა?.. განცვიფრებით შემეკითხა ის. და მერე მას ასეთ პატივს სცემენ?!

—მაშ რათ იყო, რომ სიცოცხლეში ასე აძაგებდნენ და სდევნიდნენ მას?..

—ასეა ძმაო.. ცოცხალს გაწვალებენ... მკვდარს ადიდებენ!.

**დაკარგული სიკეთე...**

ლადო და გიორგი კარგა ხნის ამხანიგებ იყვნენ.

გიორგის რომ დასჭირდებოდა რამე, ლადო ყოველთვის მზათ იყო.

გიორგიც ძმობას ფიცებოდი მას... ერთხელ გიორგი სასწავლებლიდან დაითხოვეს ..

მიზეზი ის იყო, რომ სწავლის ფული დროზე ვერ შეიტანა.

—მამილო.,. თუ ჩემი თავი გიყვარს, გიორგი შეიბრალე... ის მეტათ ღარიბია.. უშწეო!.. უფულობის გამო სასწავლებლიდან გამორიცხეს... დაეხმარე მას ეკედრთოდა მამას პატარა ლადო.

—კარგი შვილო!.. ოღონდ ორთავემ იყოჩაღეთ კარგა ისწავლეთ და მას ყოველგვარ დახმარებას გავუწევ. ჩემს სახლშიაც კი მივცემ ბინას!—შეპირდა ლადოს მამა რომელიც მეტათ გულკეთილი იყო.

ლადო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. .

და ცხოვრობდენ ერთად გიორგი და ლადო...

ლადოს მშობლებმა შვილივით შეიყვარეს გიორგი ისინი ხშირათ ასაჩუქრებდნენ ორთავეს...

გავიდა რამდენიმე წელიწადი...

გიორგიმ დაამთავრა სასწავლებელი და სწავლის განსაგრძობათ სხვა ქვეყნათ წავიდა.

—ვინძლო არ დაგვივიწყო... ხშირად გვაცნობე შენი ამბავი.—სთხოვეს მას წასვლისას ლადომ და მისმა მშობლებმა.

აბა რას ამბობთ... როგორ იქნება თქვენი დავიწყება.

—გაზაფხულის მშვენიერი დილაა... ახლათ ამოსული მზე ოქროს სამოსელში ჰხვევს ქალაქის უზარმაზ არ შენობებს.

აუარებელი ხალხი ერთმანეთში ირევა...

—ჩემი გიორგი გამარჯობა აქ რამ მოგიყვანა? აღტაცებით წამოიძახა ლადომ და სიხარულით გაეტანა მისკენ, რომელიც ამ დროს ამპარტავნულათ იდგა სადგურის ბაქანზე.

—ვინა ბრძანდები?.. მე ვერა გცნობ!..

—მე შენი ამხანაგი ლადო!. მოიგონე ჩვენი ოჯახი

—გაგიმარჯოს; გულცივათ მიუგო მან. უგულოთ გაუწოდა ხელი და თავისი მხლებლებით იმ ალაგას განშორდა..

ლადო სახტათ დარჩა...

როგორ... ნუ თუ ეს ის გიორგია, რომელიც მე და ჩემს მშობლებს ერთგულობას გვეფიცებოდა...

ნუ თუ ის არის რომელაც საუკეთესო დღები გაუტარებია ჩვენს..

რომლისთვისაც ჩვენ არაფერს ვიშურებდით...

ნუ თუ ის ეგრე გამოცვალა ცხოვებამ... სამსახურმა, ჩინებმა? ან იქნებ ჰგონია, რომ მე მას თხოვნებით შევაბეზრებ თავს...

მაშ რისთვის შემხვდა ის ასე ცივათ... რისთვის? ფიქრობდა ლადო დ გული ემღვრეოდა.

**საფლავზე.**

ყოველ დღე მიდის ის საფლავზე და სტირის...

სტირის ის და მწუხარებით აღსავსე ისევ შინ ბრუნდება. .. მისთვის არ არსებობს მხიარულება...

კარგა ხანია ჩაუქრა მას ვარსკლავი მხიარულებისა.

—ჩემო ლევან... საყვარელო ლევან!.. შენთან ერთად ჩაესვენა ჩემი გულიც? რათ ღირს ჩემი სიცოცხლე უშენოთ... რათ!—უიმედოთ მოთქვამდა ის და ყვავილებით რთავდა ძვირფასს საფლავს...

და ერთხელ, როდესაც მას, მწუხარებით მოღლილს, საფლავის ქვაზე ჩაეძინა, მივიდა მასთან უცხო ვინმე

მშვენიერო!.. თავს რათ იკლავ!.. დროა შინ წასვლისა... ის შეკრთა... მის წინ უცნობი იდგა...

—მე ყოველთვის გითვალთვალებ შორიდან... შენი სასოწარკვეთილი ქვითინი გულს მიკლავს..

—გმადლობთ.-მარცხვათ მიუგო ქალმა დ თავი ძირს დაჰხარა.

—გაგაცილებთ სახლამდე.

—არა. მე თითონ წავალ.˙. მიუგო მან და ჩქარის ნაბიჯით განშორდა.

მეორე დღეს ჩვეულობრივზე ადრე გაემგზავრა საფლავზე

—მაპატიეთ... მაგრამ მე თქვენ უკვე შეგიყვარეთ...

—როგორ? განცვიფრებით იკითხა ქალმა.

—ტყვულა აწუხებ მწუხარებით მაგ მშვენიერ სახ ს... დაივიწყე რაც მოხდა..

ის სიზმარი იყო ყოველივე...

ბედნიერი ცხოვრება მხოლოთ ჩემთან დაგეწყებათ. ჩემო მშვენიერო. ჩემო კარგო...

აღტაცებით ჩასძახოდა უცნობს..

—არა, არა. მე ვერ უღალატებ მას. ფიცი მივეცი. ფიცი

—ეგ ყოველივე ტყულია, ჩემო ღთაებაო. აბა რასა გრძნობს ის?

და შენ ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე და მშვენებით სრული სხვერპლათ უნდა შეეწირო მას რაც არ არის

რომელიც ვერას უგრძნობს. მას რისთვის სჭირიან ის

შინ კი ჯერ ისევ ყმაწვილი ხარ.

ბედნიერი დღეები წინ გიდევს. დაეწაფე მას..

გადაიგდე გულიდან ეგ უცხაური ფიქრი..

გახსოვდეს რომ სიცოცხლე მხოლოთ ბედნიერებაშია .. ბედნიერება კი შენს ხელთა.

შენ შეგიძლიან შექმნა იგი.

საბრალო ქალი ერთიან ცახცახებდა.

ის გამოურკვეველ ბურუსში იყო გახვეული.

კიდევ რამდენიმე წუთი და ორი არსება ერთათ იქცა.

—უსირცხვილო ეგ რა ჩაიდინე?

—სსუ. ჩემო სულის დგაბაო. ჩემო მშვენიერო.. სამაგიეროთ შენ მხოლოთ ჩემი იქნები, ჩემი. ჩვენ შევქმნით ახალ ცხოვრებას. ახალ ბედნიერებას!.

—გახსოვდეს. მრავალმნიშვნელოვნათ გააფრთხილა ქალმა და შინისაკენ გასწია.

შემოდგომის სუსხიანი საღამოა. გაცრცვნილი ხეები უსიცოცხლოთ ქანაობენ.

გააფრებული ქარი ველურ მუსიკით მიერეკება უსიცოცხლო ფოთლებს..

საბრალო ქალი საფლავთან ზის და ყრუთ ქვითინებს .. სახე ერთიან გამოსცვლია

ეტყობა ახალი მწუხარება სწვევია მას.

უბედურო ჩემო თავო!.. როგორ მოტყუვდი...

რათ არ იცოდი როა ადამიანები მატყუარები და ფლიდები არიან.

ლევან ჩემო ძვირფასო ლევან.. მაპატიე, რომ ფიცი გავტეხე.. და ისიც აქ შენს საფლავთან სადაც ერთგულება შემოგფიცე უკანასკნელათ აქ აქ..

ბოროტმა ადამიანმა მაცდინა ჩემო ლევან. მოტყუა. დღეიდან კი ისევ შენი ვიქნები. შენი.

მაინც არავის არ უნდივარ. არა.

გაეხმი. ჩამოვჭკნი. ძლივს ქვითინებ ა უბედური ქალი. თვალებში დამიშრა მეგობარო! ცრემლები არ მყოფნის.

ადამიანის უგულწრფელობამ და გაუტანელობამ დამაჭლექა. დამესნეულა. შენ მაინც მოდი მეგობარო!

გული გამითბე,. **ლ. ძიძიგური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული სიცოცხლე

(რომანი ქართველ-სომეხთა ომიდან)
(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 1)

### ფარული მთავრობა

—ბატონო ოჰანეს,—მიჰმართა ტიგრანამ მასპინძელს: გთხოვთ გადაწყვეტით მიპასუხოთ თავისუფლად შეგვიძლიან ვიმსჯელოთ, თუ კიდე ვინმე მოუპატიჟებელი სტუმარი დაგვეცემა თავს?!

—არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო ტიგრან,—ის ქართველი მწერალი, წელანაც მოგახსენეთ, საეჭვო არ არის... მევე დავიბარე სწორედ ჩვენს საერთო საქმეში გამოსაყენებლად და რას ვიფიქრებდი, თუ დღეს შეგეხერხებოდათ!..

—ის მაინც უნდა გეთქვა, რომ ქართველი იყო, მაგრამ რაც იყო-იყო, დროს ნუ ვკარგავთ და საქმეს შევუდგეთ.—წარმოსთქვა ტიგრანმა, ირგვლივ თვალი მოავლო და განაგრძო: ამხანაგებო, ვგონებ შინაურები ვართ. მხოლოდ ამ სამს ბატონს ვერ ვიცნობ,—მიუთითა მან განაპირებით მჯდომებზე.

—ესენი საქართველოს სომხები არიან, ქართლ-კახეთიდან და ბორჩალოდან, ჩვენი პარტიის ერთგული მუშაკნი ნამდვილი ,,დაშნაკელები.''

—რა თქმა უნდა მანდატები ექნებათ?

—გვაქვს,—მიუგეს სამთავემ თითქმის ერთხმად და შესაფერი მოწმობები წარუდგინეს.

—დღის წესრიგში გასარჩევია ორი საკითხი: 1) მოხსენებანი სხვა და სხვა კუთხიდან და 2) ჩვენი სადღეისო ტაქტიკა. ჯერ პირველ საკითხზე ვისაუბროთ. გთხოვთ, ამხანაგებო საქმის მდგომარეობა სისწორით გააშუქოთ. დღეს უნდა გადასწყდეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი და ყოველივე ნათლად ავწონდავწონოთ. საინტერესოა კახეთის ამბები.—დაიწყეთ ამხანაგო.

წამოდგა შუატანი', ჩასხმული, აგრე 28-30 წ. კაცი, გარეგნულად უფრო კახელ თავადიშვილსა ჰგავდა, ვიდრე სომეხს, სომხურიც ვერ ეხერხებოდა.

—ამხანაგებო,—დაიწყო მან: ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ჩვენი გამარჯვება ამ თავითვე მოგილოცოთ. მამა-პაპით კახელი ვარ, იქ აღზრდილი. იქაური ვითარება ხელიგულივით გადაშლილი მაქვს. სიღნაღისა და თელავის მაზრებში მოფანტული სომხები საუკეთესოდ არიან მოწყობილნი, მთელი ხალხი ხელში ჰყავთ და საითაც უნდათ, იქით მოუღრეცენ კისერს. შექმნილი მდგომარეობას მუდამ ხერხიანად აყენებენ. ბევრი ჩვენი ამხანაგი, ფაქტიურად, საქმით ჩვენი მოღვაწე, ფორმალურად, ხალხით სოციალდემოკრატიულ პარტიაშია ჩაწერილი, მათი პარტ. წევრობის მოწ ავქთ.. ასე გასინჯეთ ფედერალისტებშიც კი ეწერებიან. ვაჭრობა აღებ-მიცემა, მართვა-გამგეობა, კულტურული ცხოვრება მათ ხელშია. იქაც კი საცა ვითომ ქართველები გამგებლობენ, ჩვენი კაცები გვყავს შეჩენილი და ჩვენს უნებლიეთ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგმება... სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ საქართველოს ჯარის შეკრება სავსებით ვერ მოხერხდა... ჩვენის ამხანაგების ჩაგონებით ქართველი გლეხის შვილები ან არ შედიან სამხატვრო სამსახურში, და თუ როგორმე ჩაიყვანეს, ტანისამოსს ჩაიცმენ ფეხსამოსს მიიღებენ, იარაღს ჩაიბარებენ და უკანვე ბრუნდებიან. სურსათის ვაჭრობაც ჩვენს ხელშია; ბევრი პური ჩავიგდეთ ხელში, ბევრგან ფასი ერთ სამად ავწიეთ,—თუ სადმე კოდი შვიდი რვა თუმანი ფასობდა, ჩვენ ოცდაათი-ორმოცი თუმანი გავხადეთ. ასეთი ხერხის წყალობით თვით ქართველი გლეხებივე ზრუნავენ ჩვენთვის: ვისაც არა აქვს, ჩვენთვის იძენს პურს. საქართველოს მთავრობა-კი ძალათი თუ ჩამოართმევს პურს, რაიცა უდიდეს აღელვებს იწვევს ხალხში... ჩვენი აგენტები ფულის ფასს კიდევ უფრო ამცირებენ, საქონელს აძვირებენ, წვრილ ფულს აქრობენ,—სპილენძისა და ვერცხლის ფულს ხომ თვალს ვერსად დაჰკრავთ .. საქმეთა არევ-დარევა, პარტიული შუღლი, კომისარ-მილიციონერებთა მექრთამეობა, მოხელეთა სიწუწკე ისეა გავრცელებული, ხალხს ზიზღი მოსდის და მთავრობის არსებობა არც კი სჯერა, ,,ახ, ძველო დრო!'' ხშირად გაიგონებთ ხალხში. ამ მხრივ ჩვენი აგენტებიც მუშაობენ და ხალხში ავრცელებენ მთავრობისადმი ზიზღს... ასე, რომ საქართველოს მთავრობა დღეს სახელით არის. არაფერი გავლენა აქვს და რაც უნდა ეცადოს, ერთი კაციც არ გავა მისი მოთხოვნით...

მომხსენებულს ყველა სულ განაბული უსმენდა, ყველას სახეზე იდუმალი სიამოვნება ეტყობოდა.

—ჩვენი პარტიის გავლენა როგორია დასაზოგადოთ იმედია, რომ არ გვიღალატებენ? იკითხა ტიგრანმა.

—გავლენა ჩვენი ძლიერია; ხალხიც, როგორც ვსთქვი, ჩვენს ხელშია. არის მცირედი ნაწილი სომხობისა რომლებიც ვითომ ქართველებს ემხრობიან: მამა-პაპიდან საქართველოს შვილები ვყოფილვართ, ქართველებს ვერ გამოვეყოფითო, მაგრამ ესენიც უფრო დროს უცქერიან: ვერც ქართველებს განდგომიან ამგვარად ვერც ჩვენ მოგვდგომიან. მაგრამ მე მწამს, რომ სჯულს არ უღალატებენ: ერთი-ორი ჩვენი აშკარა გამარჯვება და ყველანი ჩვენ გამოგვყვებიან...

კახელი მომხსენებლის შემდეგ წამოდგა ქართლის რაიონის წარმომდგენილი, ისიც გარეგნულად პირწავარდნილი ქართველი საქართველოს შვილი, მაგრამ სომხად წოდებული და მიჩნეული.

—ამხანაგებო-დაიწყო მან: მე ბევრი სათქმელი აღარა მაქვს-რა: ქართლშიაც იმავე გეგმით ვმოქმედობდით და ვმოქმედობთ, როგორც კახეთში. დავუმატებ მხოლოდ. რომ აქ ძლიერ ხელი შევუწყვთ ბალშევიკურ მოძრაობას დათავადაზნაურთა ყლეტას, მათის ქონების აკლებას... ბევრი თავადიშვილი ამოვაწყვეტინეთ გლეხობას ცოლშვილიანად: იყო შემთხვევები, როცა ამოწყვეტილი თავადიშვილების სახლებში მშიერ ძაღლებს ამწყვდევდენ, და დახოცილთა შესაჭმელად. ბევრი ცნობილი კაციც გახდა ამ გაბრაზების მსხვერპლი, ძნელად, რომ თავადაზნაურობამ გლეხობაზე გული მოიბრუნოს, ანუ გლეხობა შეურიგდეს მოწინავე წოდებას... ბევრი სოფელში ჩვენი პროპაგანდისტი დადის გურული კილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი და ისე უქადაგებს... ეს იმიტომ, რომ უბრალო გლეხკაცობას მხოლოდ გურულებისა სწამს...სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროპაგანდისტთა ჩაგონებით და ჩვენის მეცადინეობითაც ხალხს გულიდან ამორეცხილი აქვს სამშობლოს სიყვარული და საქართველოს სახელი. ხალხი ორ ბანაკად გავყავით და ერთი მეორეს ესისინება... აქ ისეთი არევ-დარევაა, საქართველოს უკბილო მთავრობა-კი არა, ძველი რუსეთის მეფეც რომ აღსდგეს თვისი ჟანდარმებით, ვგონებ იმანაც ვერა მოაგვაროს-რა. ჩვენის აგენტების ჩაგონებით ხალხს გვარდიელები თავადების მცველებად მიაჩნია, მთავრობა მოსყიდულ-მოღალატეთ და ქვეყანა უპატრონოდ...

—მე მხოლოდ ერთი შენიშვნა მაქვს,—წარმოსთქვა ტერტერამ.—მომხსენებელმა ამხანაგებმა განგებ თუ შეცდომით მხარი აუქციეს ჩვენის ტერტერების მოღვაწეობას. კარგა ხანია, თითქმის ოცდა ათი წელიწადი, რაც მთელ საქართველოში ჩვენი სჯულისა და გვარტომის გამავცელებელი სულის მამანი დავგზავნეთ. ქართლ-კახეთის ყოველი სოფლის მრევლი, ყოველა სომხური ეკლესია ჩვენი ეროვნული განვითარების ბუდეა. და ჩვენის ტერტერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმეც კარგად მიდის. ბევრ ადგილას შეგხვდებათ დედმამა ნამდვილი ქართველი ტეტიები, სომხური ენის არც ერთი სიტყვის მცოდნე, მაგრამ შვილები კი სომხურ წეს-რიგზე აღზრდილი... ამავე ტერტერების ქადაგების გავლენით ჩვენი სჯულის ქართველი გლეხობაც ჩვენია, გულით მუდამ ჩვენთან მყოფი. ათიოდე წლის შემდეგ ქართლ-კახეთში ნამდვილი სომხური ახალშენები გამოჩნდება მათის წყალობით. რაიცა შეეხება ბორჩალოს მაჩრის სოფლებს ჩვენი დელეგატის, ჩვენივე მიღდისას თანადასწრებით მოგახსენებთ, ამ სოფლების თავდები მე ვარ: ერთი ნაპერწკალია საჭირო რომ აჯანყების ცეცხლის ალმა იფეთქოს; დაღეთ ხაჩინლები, ბოლნის ხაჩინლები ბოლს შულავრელები და სხ. ისე გამოვწაფე, რომ ცოცხლივ გადაჰყლაპვენ გალოთებულ ქართლოსიანთ... რა წუთსაც მიბრძანებთ, მაშინვე თავს დავესხმით თბილისს დასაპყრობად და ქართველებს მძინარებს ამოვწყვეტ!— დააბოლავა რიხიანად აღტაცებით ტერტერამ თან ისეთი გამომეტყველება მიიღო და ხელები ისე დამუჭა, თითქო ყველა ქართველი ხელში მოიგდო და სული უნდა ამოხუთოსო.

—კეცე, კეცე! (ვაშა, ვაშა!) შესძახეს ტერტერას და ტაში დაუკრეს.

—ნება მიბოძეთ ამხანახებო, დაიწყო პარონ ხაჩომ, თბილისის საბჭოს ხმოსანმა და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წევრმა, საერთო სურათის წარმოსადგენად ორიოდე სიტყვა დავძინო. მოგეხსენებათ ქართველმა სოციალდემოკრატიამ, მიწის ჩამორთმევის კანონით, მთელი თავად-აზნაურობა გადიმტერა. ეს თავად-აზნაურობა კბილთა ხრჭენით ელის, როდის იქნება სოციალისტური მთავრობა დაემხოს, აქედან-კი ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თუ ომი დავიწყეთ განაწყინებული თავადაზნაურობა მთავრობას მხარს არ დაუჭერს და ვერც დაუჭერს. მე იმედი მაქვს, საიდუმლოდ ჩვენთანაც იყოს, მეომარი ხალხი-კი სწორედ ამ თავადაზნაურობაშია. ეს ერთი, მეორე: ქართული პოლიტიკური პარტიები ისე არიან ერთი მეორის წინამდეგ დარაზმულნი და ისე გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთ! რო ჩვენს წინაალმდეგ შეთანხმებით გამოსვლას ვერ შესძლებენ. მესამე: უკმაყოფილო რუსობა, ვაჭრები და ძველი დამსახურებული მოხელენი მუდამ ჩვენს მხარეზე იქნებიან. მეოთხე: საქართველოს სოციალისტური მთავრობა საერთაშორისო პრინციპებს ისე როგორ უღალატებს, რომ თოფ-ზარბაზნების გუგუნ-გრიალში ჩაახშოს საერთაშორისო იდეალები. ამიტომ იგი იარაღით ჩვენ არ შეგვებრძოლება, და რომც შეგვებრძოლოს, ვერას დაგვაკლებს, რადგან სოციალსტური ლაზუნგებით სათავეშივე ჩავანელებთ მათს ამხელრებს. დასკვნა: სდგება მომენტი, როდესაც სომხის ერმა ფრთები მძლავრად უნდა გაშალოს თავის ფართე მიზნების მისაღწევად,— უკეთეს დროს ველარ ვნახავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის შექმნაც-ჯერ კიდე ჩანასახშია, თუ მოვსპობთ ახლა, თუ არა და მერე გაძნელდება.

—მართალია, მართალი!.. სწორეა, სწორე! შესძახეს ერთხმივ' ბოლოს ტიგრანმა გამოუცხადა:

—კამათი დასრულებულად მიმაჩნია, ამხანაგებო. საჭიროა რეზოლიოცია. აი რეზოლიუციის ტექსტს წაგიაითხავ და კენჭს ვუყრით: „სომხის ფარულმა მთავრობამ თბილისში მოისმინა-რა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოხსენებანი დაადგინა: დაევალოს პროვინციელ ამხანაგებს იმავე გეგმით განაგრძონ საქართველოში მუშაობა, როგორც დღემდე, ეცადონ, რაც შეიძლება, მეტი არევ-დარევა შეიტანონ ხალხში და მზად იყვნენ მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებისათვის. დაწერილის წაკითხვის შემდეგ ტიგრანმა სიტყვიერად მიმართა: იცოდეთ, ეს რეზოლიუცია ყველას სახელმძღვანელოდ ექნება საიდუმლოდ. ამასთანავე ჩვენ გაზეთებს გადავცე მათ სხვა რეზოლიუციას, რომელშიაც საქართველოსადმი ჩვენი ერთგული გრძნობები იქნება გამოცხადებული, ამან არ შეგაცდინოთ.

რეზოლიუცია ერთხმად მიიღეს.

—ამხანაგებო დაგვრჩა მეორე საკითხი. ტაქტიკა. ზემორე მოსმენილ მოხსენებათა მიხედულებით და არსებულ პირობათა შთაგონებით, ვგონებ ყველა მიმხვდარი იქნება, როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა. ნება მიბოძეთ ამაზე კამათი აღარ გავაგრძელოთ, პირ და პირმუხლობრივ აღვნიშნოთ და გადავწყვიტოთ. პირველი: ჩვენი დიდი მუწუკია ლტოლვითა მდგომარეობა. ლტოლვითა საიდუმლო რწუნებულს ევალება, საქართველოში ყველგან, სადაც-კი შესაძლოა ჩაასახლოს ლტოლვილნი. დაგლახაკავებულნი გამოიყენოს საქართველოს მთავრობის წანაალმდეგ სააგიტაციოდ; მეორე: პრესის საკითხია პრესა მუდამ კრიჭაში უნდა ედგეს საქართველოს მთავრობას, ერთის მხრივ აბრუ გაუტეხოს. მით ხალხი აუჯანყოს, მეორე მხრივ უცხოელთ მრავლად მიაწოდოს ქართველთა წინაალმდეგი ცნობები; მესამე: მიმოსვლისა და მართვა-გამგეობის საკითხია ჩვენს ამხანაგებს ევალება, ყველგან ჩვენი კაცი ჩააყენონ, სადაც ეს ვერ მთხერხდება მოხელე მოსამსახურენი შეისყიდონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარ მიწერ-მოწერას თვალყური ადევნონ, მზად იყვნენ, როცა საჭირო იქნება რკინის გზები და ხიდები ააფეთქონ, საზოგადო შენობებს ცეცხლი გაუჩინონ; მეოთხე სამხედრო საკითხია: სამხედრო ნაწილის რწმუნებულს ევალება, ახლავე შეუდგეს სამხედრო სამსახურში საქართველოდან გასაწვევ პირთა შეკრებას; მეხუთე: შინაგან და გარეშე საქმეთა რწმუნებულთ ევალებათ ოფიციალურად მევობრული განწყობილება იქონიონ საქართველოს მთავრობასთან და მოწინავე ქართველებთან.

ამის შემდეგ სხვა კილოთი ჩაილაპარაკა: ძველი სიბრძნეა: მტერი მიაძინე და ისე ჩაეცი მახვილით!

—რაღა მიაძინე,—ჩაურთო ღიმილით პოღოს მიღდისამ: ქართველობას სძინავს და სძინავს.- ეგ არის რომ ორიოდე ყოყლოჩინა ჯირითობს: ვითომ და ჩვენც სახელმწიფო შევქმნათ, სხვათა თანასწორი გავხდეთო!., მაგრამ სულ ტყუილია მაგათი ფიქრი.

—დემოკრატიული რესპუბლიკა გავაკეთოთ, მთა და ბარი გავასწოროთო?..—სთქვა პეტრუზ ვახშიანმა.

—დემოკრატიულისა რა მოგახსენოთ, სიმინდისა კი—მართალია როგორც ბრუნდე ჯვრიანი რუსები უწოდებენ.—დაუმატა დაცინვით პარონ ხაჩომ.

კამათი დასრულდა.

ჯერ სტუმრები არც კი წამოშლილიყვნენ, რომ მეორე ოთახის კარი შემოაღო მოსამსახურე გოგომ და ოჰანესას რაღაც წასჩურჩულა. ოჰანესა უცებ წამოდგა, გავიდა მალევე კარებში თავი შემოყო და ერთ სტუმართაგანს მიმართა.

—ბატონო ექიმო. ერთ წუთს გთხოვთ...

—ოჰანეს?..—შეკითხვის კილოთი გასძახა და გახედა ტიგრანმა.

ოჰანესა შემობრუნდა.

—რა ამბავია? შეეკითხა ტიგრანი.

—არაფერი,—ჩვენი ტერტერას ქალი რაღაც შეუძლოდ შექმნილა.

—ჰაიკანუშა? ჩემი მამიდაშვილი?!.

—დიაღ,, მაგრამ არაფერია...

ამასობაში ხილის მირთმევის შემდეგ, სტუმრები წამოიშალნენ და ნათქვამ-მოსმენილით კმაყოფილნი ნელნელა დაიშალნენ, ხოლო ტიგრანა საჯალაბოსკენ გაემართა სადაც ჰაიკანუშა იმყოფებოდა. მიდიოდა ტიგრანა და თან გუნებაში ფიქრობდა: ,,ამ გოგოსრა ნეტა დაემართა, რომ კრებაზედაც არ დაგვესწრო? ერ- ი გავიგო რას იმიზეზებს?'' [გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნება)

## იმედიანი ცრემლი..

ის აღარ არის.. ის აღარა გვყავს—
ვინც ქვეყნად იყო ღმერთთა სიმბოლოდ,
ის აღარა გვყავს და იმის საფლავს—
დამჭკნარი ვარდი ამშვენებს მხოლოდ.

...და აღარა გვყავს. მოჰკვდა წყვდიადზე.
ერი ტანჯული კვლავ ცრემლად დნება.
მაგრამ მოვა დრო და განთიადზე—
ის სამშობლოსთან მკვდრეთით აღსდგება!.

ილ. მოსაშვილი




ბ. ი. ზალიპსკი
საქართველოს სახელმწიფო თეატრის საოპერო დასის ნიჭიერი მსახიობი, აბესალომის [აბესალომ და ეთერი] აღმასრულებელი.

---

## საქართველოს მტრებს

ვინ ამოძრავდა მტრული ზრახვებით,
ეს საიდან სჩანს მუქარის თითი?
ისმის და ისმის დაუნდობელი
მოღალატეთა ჩუმი ხითხითი.
მე არ მაკვირვებს რომ გამოცოცხლდენ
და ამოძრავდენ ბნელი ძალები;
რომ გაძლიერდა, მზაკვრული ქიშპი,
დღემდის მათ გულში დანაკრძალები.
რამ შეგასხათ ფრთა და აგიტაცათ,
რამ გაგამხნევათ, მოსისხლე მტრებო?
—უცხოელების მოახლეობამ?
—მათ იწვევს თქვენი სული უვნებო?
თქვენ საქართველომ დედის მაგივრათ
ძუძუ გაწოვათ მშვიდობის რძითა,
თქვენს თავს სიცოცხლე შეუნარჩუნა
და სიყვარულით თქვენს ბავშვებს ზრდიდა.
შეგშურდათ განა საქართველოს ცა—
ცისფერი თავის ძველი დიდებით?
შეგშურდათ განა მისი შვენება,
სავსე გმირობით და მორიდებით!
მწამს: ამაოა თქვენი ოცნება:
თქვენ ვერ შეღახავთ უწმინდეს სახელს,
ქართველი ხალხი თავის გონებით—
გმირთა გმირობით აიცდენს მახვილს.
დღეს საქართველო შენდება ახლად:
თამამად გვიმზერს ბედი შენდობით,
და სხვა ერებთან საქართველოსაც
მემატიანე აღნიშნავს ნდობით.

ქართველი ებრაელი ი. მოშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გედეონ ვას. გედევანოვი (მირალიანი)

ჩვენი სცენა დაითალხა.

იანვრის მიწურულს მოგვაკლდა ერთი თვალსაჩინო ქურუმთაგანი—გედეონ ვასილის ძე გედევანოვი (მირალიანი), რომელიც თითქმის 30 წელიწადი ემსახურებოდა როგორც ქართულს, აგრეთვე სომხურ სცენას. ტომით სომეხი იყო, მაგრამ თავს საქართველოს შვილად აღიარებდა: მწერლობა, თეატრი და სკოლა, აი ვინ დაგვაახლოვებს ურთიერთს, აი ვინ დაგვიხსნის სიბნელიდანო,—ეს იყო მისი რწმენა და მთელი თვისი სიცოცხლე ამ სამს დარგს ემსახურებოდა: მწერლობდა, მსახიობობდა, მასწავლებლობდა.

მოღვაწეობა დაიწყო სომხურ სცენაზე, ქართულ სცენაზე გამოიყვანა ვ. აბაშიძემ 1889 წ. და მუდამ ნიჭიერ, მუყაით, დაუზარელ, ბუნებრივ მსახიობად ითვლებოდა. ბევრი ცოცხალი ხატება შექმნა, როგორც ორიგინალურ, აგრეთვე ნათარგმნ პიესებიდან, ქართულიდან სომხურად სთარგმნა ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“, „გამცემი“ და სხ. სწერდა წერილებსაც ჩვენის მწერლობა თეატის შესახებ მასწავლებლობდა სომხურ სკოლებში, ბოლოს თბ. სახელოსნო სკოლაში. მის დაკრძალვას (იან. 28 ხოჯივანქის სასაფლაოზე) დაესწრენ ქართველი მსახიობნი, მწერალნი და სხ. სიტყვებით შეამკეს სომეხთა მოძღვარმა და სხ. შ, დადიანმა ი. იმედაშვილმა და სხ.

ქართული თეატრი მის სახელს მუდამ მადლობით მოიხსენიებს.

**იოსებ არიმათიელი**



ლეონიდე კათალიკოს-პატრიარქი

მცხეთაში კურთხეული თებერვლის 23.



ოჰანეს თუმანიანი

სომეხთა სახელგანთქმული მგოსანი, სომეხ-ქართველთა ერთობის მქადაგებელი, ხალხის გულის მესაიდუმლედ აღიარებული დაბადებიდან 50 წლის ხოლო სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. შესრულების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თქმულება შოთა რუსთველზე ოპერა დ. ე. არაყიშვილისა**
[გადაღებული სახემ. თეატ. კლარის-მიერ ავტორ-შემსრულებელნი და დამდგმელნი] ლოტბარი ს. სტოლერმანი; მოკარნახე ნიკოლაევი; ივ. პ. სარაჯიშვილი — შოთა რუსთველი; ხორმეისტერი — კორშონი; ე. ი. სპიტკო — თამარ მეფე; დ. ე. არაყიშვილი; მ. ი. ბაუერზაკსი; ა. რ. წუწუნავა; მხატვარი ა. ა. ზალცმანი; ს. ი. ცვლაძიშვილი და სხ.



**ე. გ. ბროჯი** პროფ. სიმღერის თბ. კონსერ. ახლო ხანში სახემ. თეატრში გაიმართ. მისი 35 წ. სამუსიკო მოღვაწ. დღესასწაული. დაიდგმება ოპ. რიგოლეტო. შესრ. რიგოლეტოს



**ვანო სარაჯიშვილი**
შოთა რუსთველის ამსრულებელი დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთველზე“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედანი დედას

ახლი თვალლამას.

მიგატოვე: ვეღარ მოვედ, ვეღარ გნახე, ჩემო დედა,
სიყვარულმა გზა შემიკრა, შეუყვარებულს მეტა ელდა,
გული კრული ამა ქვეყნად გამიცოფდა გამიხელდა
არ ვიცოდი დამის ღმერთი, თუ სიძულვილს გამიმხელდა.
აჰ! დედილო გენაცვალე, დავიწყევლე დაბადება,
მაგონდება წყევის წამი და წამება მედიდება
ვიტანჯები ვიწვი, ვსტირი, გულში ცეცხლი მეკიდება,
მინდა გამცნო ყველაფერი, მაგრამ შენიც მერიდება.
გენაცვალე არ აცირდე, სჯობს მოგიკვდე სადმე ტყეში
ვიდრე დედას გედგას თვალწინ საყვარელი შვილის ლეში,
ან და სადმე ჩავიხეხო და ჩავიმტვრე უფსკრულ დრეში,
სიყვარულის დამცირება რომ ვერ ვნახო მე ჩემს დღეში,
შენს ძუძუზე აღვიზარდე მე ჭორიმე შენის მკერდის,
მოფერება შენ მასწავლე, შენ მომეცი გული მტრედის
სასპეტაკე და სიჩვილე შორს მფრინავი თეთრი გედის
და ვიცოდი ამა ქვეყნად სიყვარული მხოლოდ დედის...
შენ ხომ გახსოვს, რომ წაველი მთებში მარტო დედის ერთა
მაშინ ვნახე მთებში ქალი, დამაძახა: მე ვარ ღმერთა,
აქეთ მთდი აქ მთებშია თვით სამოხე მშვენიერთა,
მთა ლუბულობს სიხარულით სიყვარულითა მშიერთა!
მივაშტერდი და აგძგერდი... და თვალებში დამიბნელდა
ის ვიხილე და ჰორველად დამავიწყდი მაშინ დედა;
გულის ყური მივაპყარი, ისიც უცნობ'ა ისე შემხვდა
რო მას მივე რაც რო მქონდა საყვარელო მხოლოდ შენდა
გაუხარდა, გამეხარდა. მომცა ხელზე კოცნის ნება,
ოჰ! იმ წამს რო მოვიგონებ, ჩემი გული ცრემლად დნება
ყოვლად შემძლეს ვეკითხები: სიყვარული როცა ჩნდება
ობლობა თუ უწერია, იმ წამშივე რად არ კვდება?!
წმინდაწმინდათ ატარებდა ღვთის მშობლისა უკვდავ სახელს
აღარ მქონდა მოსვენება მე უბედურს იმის მნახველს.
ოდეს მძლავრად ვუკოცნიდი ვუკოცნიდი მძლავრად მას ხელს
მე ვფიქრობდი სიყვარულის ცხვენია და ჯერ არ ამხელს,
წითლდებოდა, მშორდებოდა, უკან ვზდევდი დავეძებდი,
ღამეს მისთვის ვათენებდი, სიყვარულის ცეცხლს ვანთებდი.
აჰ იმ ცეცხლის ნაპერწკალმა ისე დასწვა ჩემი ბედი,
თითქოს გული ყოფილიყ ს გამომშრალი ხის აბედი.
თუმცა დამწვა მაინც მიყვარს სიყვარულზე ტკბილი ფიქრი
ჰაეროვანს ემსგზავსები და ოცნებით მასთან მაქქრი,
და გგონია გადაგწონის სიმძიმითა თოვლის ფიფქი,
არ უყვარხარ მაინც გიყვარს ჯავრი გულ-რს და ჯავრსაც იერი!

დავით კოპალი



ლოტბარი ალ. მაისურაძე
მარტის პირველ რიცხვებში გამართავს კონცერტებს.

* * *

ახმაურდა მშოლოურ ჰანგზე
არემარე და თვით ზეცა,
მზის სხივები ჩანგს ქარგავენ,
იცინიან ხარობს მზეცა;
რაზმი რაზმსა მოსდევს მწყობრათ,
გრძნობის ალი გულზე მეცა:
ახ! სადა ხარ სიჭაბუკევ,
მინდა ვიყო მათთან მეცა...
ნიავი ჰქრის, დროშას არხევს
ქ'ალმება ზურმუხტ მდელოს,
გაზაფხულის დღეს ულოცავს
თავისუფალ საქართველოს!..

მუშა მიხ. დევაძე



სერგო პეპანოვი
ნაამაგდარი სცენისმო
ყვარე, გარდაიც. იან.

## ღამე

...ღამე არის, ცა ლაჟვარდი ვარსკვლავებით მოჭედილა,
ფიქრი ჩემი მომავალზე შავი ნისლით დაიჩრდილა,—
ნეტავ როდის უნდა ვნახო მტრედის ფერი თეთრი დილა?!
ნეტავ როდის უნდა აღსდგეს, სიყვარული ფრთებ შესხმული,
რომ ერთმანეთს არა ხოცდენ მაშვრალი და ბედით კრული,
და ბუნებაც ზეიმობდეს მორთული და მოკაზმული?!.

გ. კვაცხუთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 2)

ქემ.—ბეგი-თქვენს გულს როგორც ვატყობ კიდევ ეჭვიანობა ეპარება. თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ამიერიდამ აჭარა თქვენის მფარველობის ხელში უნდა იყვეს....

ოსმ.—აფიც. ყველაფერი კარგი ქემალბეგ, მაგრამ მე კიდევ ერთის მეშინიან .. ჰაიდარი სად არის.

ქემ-ბეგი. ჰაიდარი აჭარიდან გაიქცა, მაგრამ თქვენ დარწმუნებული იყავით, ის ვერას დაგვაკლებს: უკვე შიკრიკები დავგზავნე და დაიჭერენ; გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ამ ერთ კვირაში ის თქვენს წინაშე შეჯაჭული ეგდება.

ოსმ. აფიც. ნეტამც ეგრე იყვეს! მე-კი მგონია, ის სადღაც აქ იფარავს თავს, გურჯების მოელის და მისი ჯარი სადღაც აჭარის კლდეებშია დაბინავებული. მე ვგრძნობ, აჭარაში ღალატის სუნი ტრიალებს, აჭარის კლდეებში ჩვენი შესამუსრავი ხმალი გდია. რაც შეიძლება ჩქარა დაგზავნე ჯარი დაათვალიეროს მთელი აჭარის კლდეები.

ქემ-ბეგი. ბრძანება თქვენი ბასრი ხმალია. ჰეი... ბიჭებო... (შემოდის რაზმის უფროსი) გაეცი ბრძანება მთელი აჭარის კლდეები დაათვალიერონ, ჰაიდარი ცოხალი ან მკვდარი მომგვარონ..

რაზმის უფროსი მესმის.

ქემ-ბეგი. (გაჯავრებული) შენ არ გესმის, თორემ რომ გესმოდეს, ამ შეურაცყოფას არ მომაყენებდენ.. გესმის?—აჭარის კლდეებში ღალატის სუნი სდგასო...

რაზის უფროსი ვეცდები შევასრულო თქვენი ბრძანება.

ქემ-ბეგი გასწით. (გადიან) ბრძანება გაცემული გახლავთ თუ კი სადმე აქ არის უსათოვოთ იპოვიან და მოგართმევთ.

ოსმ. აფიც. მე დარწმუნებული ვარ, ის: აჭარიდან გასული არ იქნება. ერთი ყარაული ჩაქვის ხეობაშია ხალასთან, მეორე ჩოლაქის ხიდთან, მესამე აჩხამურის ნაპირას. ასე რომ ის აქედან გასული არ არის.

ქემ-ბეგი. თქვენ პირს შაქარი...

ოსმ. აფიც. კიდევ ერთი შიშია. სამტრედიაში დიდძალი ჯარია უფროს სარდლის განკარგულებაში. საჭიროა ეხლავ რამდენიმე კაცი გაგზავნო და ქობულეთთან რკინის გზა გააფუჭონ, თორემ მოსალოდნელია მათი ერთბაშათ გაძლიერება, ხომ იცი სვეში ჯარი მხოლოდ ხვალ. საღამოს მოადგება ბათუმს.

ქემ-ბეგი. მოხარული ვარ... ვეცდები. ჰეი ბიჭებო! (შემოდის ჯარის.კაცი) ბრძანება გაეცი, რომ ეხლავე წავიდნენ ქობულეთის მახლობლად დი ოკინის გზა გადახსნან გესმის?

ჯარის კაცი მესმის. (გადის)

ოსმ. აფიც. ჯერ-ჯერობით არაფრის შიშია, ირგვლივ გზები შეკრულია, მხოლოდ ერთია საფიქრელი ჰაიდარი თავის ჯარით თავს არ დაგვესხას, ხომ იცი ჩვენ სულ ასი ასკერი მოვიყვანეთ, ეგ ვიცი საკმარისი არ არის, მაგრამ საღამოს ანარის სიმაგრეს ავიღებთ დაიქიდან მოვაშველებთ ჯარს ეხლა მაქვს პატივი გამოგემშვიდობოთ. ცოტას მოვისვენებ და შემდეგ ისევ რუქას გ დავშინჯავ, თორემ გზები უცნობია.

ქემ ბეგი.-მე აქ გახლავართ, თქვენი ყურმოჭრილი მონა.

ოსმ. აფიც მშვიდობით (გადის)

ქემ-ბეგი ჩემო მთვარევ, რა რიგ მიყვარხარ, რომ ეგრე ნაზათ ჰფენავ ჩემს გარშემო შენს შუქს... მაგრამ გული ფეთქავს, სადღაც მიისწრაფის უგზო უკლოდ. თითქოს გრძნობს, რომ ჩემს იდეალებს ელება ბოლო, მაგრამ არა ეგ, ხომ სილაჩრე, რომელსაც ადამიანის გულში არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამობრწყინდი ჩემს ირგვლივ, იფეთქე ჩემო ტკბილო ცხოვრების განცხრომავ, (შემორბის ნინო აღელვებული)

4

ქემალ-ბეგი და ნინო.

ნინო ქემალ, როგორ შენ უნდა მოჰკლა ჰაიდარი? არა, ეგ არ შეიძლება, შენ მაგას არ იკადრებ, რადგანაც მე შენი და ვარ და მე ის მიყვარს...

ქემ ბეგი. ჰო! მე ის მძაგს, მე მისი სახელიც კი მეზიზღება- არამც თუ თვითონ. ოღონდ ვეღირსო იმის დაჭერასა, ლუკმა- ლუკმა ავკუწო...

ნინო ქემალ, რას შვრები...

ქემ-ბეგი ნინო ოღონდ მისი სიცოცხლეს ნუ მთხოვ და სხვა რაც გინდა მთხოვე; ის მტერია ჩემი ჩემი ბედნიერების დამამხობელი და იცოდე ჩემ მტრებს მოკლე ხნის სიცოცხლე უნდა ჰქონდეს.

ნინო ქემალ, ოღონდ შენ მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ჰაიდრს არ მოჰკლავ და ის შენ არაფერს დაგიშავებს.

ქემ ბეგი. მერე, შენ რა იცი თუ არა?

ნინო მე გაძლევ მის მაგიერ პატიოსან სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვას, ოღონდ მითხარი, რომ ის თავისუფალია... (ტირის)

ქემ-ბეგი ოხ! მე იმას ვიცნობ, ის დაუნდობელია, ის უნდა მოკვდეს უღირსი მოძმეს ხელით...

ნინო შენ სტყუი ქემალ! შენ მე მაშინებ! (ისმის ძახილი: ნინო შვილო ნინო)

ქემ-ბეგი. დედა გეძახის გასწი...

ნინო ქემალ მითხარი...

ქემ-ბეგი გასწი მეთქი.

ნინო (ტირილით) ოხ!.. ღმერთო .. (კარებში დედა შემოხვდება.)

5

იგივენი და დედა

დედა რა იყო შვილო? რა მოგივიდა?

ქემ-ბეგი გაიყვა გამაცალე ეგ იუდა! მიფრთხილით, თორემ ვაი თქვენ დღეს თუ მართლა ღალატია.

ნინო დედა!.. ჰაიდარი უნდა მოჰკლან .. იცოდე, თუ იმას რამე მოუვიდა, მე ერთ წუთსაც არ ვიცოცხლებ...

ქემ-ბეგი მე ვიცი ვინაა დამნაშავე, ლაპარაკი ზედ-მეტია.

დედა მართლაც ქემალ, რა მოგივიდა? აპატიე მას სიცოცხლე...

ქემ-ბეგი უხ. თქვე გველებო, თქვენა გასწით აქედან. (დედას ხელს ჰკრავს)

ნინო გთხოვ დედის პატივსნება ნუ შეურაცყოფ?

დედა. ალბათ ეგრე წერებულა დედი შენის შუბლზე.

ქემ-ბეგი გასწით აქედან... (გადიან) ოხ! ეს საზიზღრები. როგორ?.. მე სიცოცხლე ვაჩუქო ჩემ მტერს? ეგ ხომ ჩემი აზრების დასამარება იქნება!?. არა, მოჰკალი, როგორც მოსისხლე მტერი.,. (გადის)

ნინო (კულისებიდან) დედა, უთხარი რამე, დედა.. (ისმის ძაღლის ყეფა.) „გაიკითხეთ გლეხა, მაჩუქეთ რამე." (ნინო შემოდის)

6

ნინო და ჰაიდარი

ნინო მობრძანდით ფული არა მაქვს. მაგრამ პურს მოგართმევ. (შემოდის ნაბადში გახვეული)

ჰაიდარი რაც თქვენი წყალობა იქნება. (ერთბაშად გადისვრის ნაბადს)

ნინო ჰაიდარი!?. (ხანგრძლივ კოცნით გადაეხვევიან) ჰაიდარ, რა გინდა აქ, შენ დაგეძებენ!

ჰაიდარი ვიცი ნინო, რომ დამეძებენ, მაგრამ გადაეცი ჩვენს მტრებს ვერ ეღირსებიან ჩემს შეპყრობას; ვიდრე მე დამატყვევებენ, ბევრს ვინაცვალებ, ბევრს დედას ავატირებ, შენ-კი ჩემო ნინო, გული დამშვიდეთ შეინახე მე ისეთ ადგილას ვარ ჩასაფრებული, რომ მოულოდნე დროს თავზარს დავცემ აჭარის მტრებს, გინდა ძმა იყვეს ჩემი, გინდა მამა. ეგრე უთხარი ქემალს, რომ შენი სიცოცხლის წუთები მილეულია, მე მისი მუქარის არ მეშინიან...

ნინო ჯერ ჯერობით ნუ ეჩვენები, დაუნდობელია, ის არ დაგინდობს.

ჰაიდ. უთხარი, რომ მე აქ ვარ! მოვიდეს.

ნინო ჰაიდარ, შენი ჭირიმე, გაჩუმდი, თორემ ის საზიზღრები წამართმევენ შენს თავს, მე შენს თავს არვის დავანებებ. მე შენ მიყვარხარ... დაჩუმდი.. წავიდეთ აქედან, წავიდეთ შორს სადმე თორემ ქემალი დაბრუნდება და მე არ შემიძლიან ყველა უბედურებას გაუძლო. თუ ჩემი ხათრი გაქვს წავიდეთ! მაიხურე ნაბადი ..

ჰაიდარი უთხარი, ჯერ კარგად დააგემოს და შემდეგ სანადიროთ წავიდეს

ნინო ჰაიდარ!.. დამიჯერე წავიდეთ აქედან, თორემ დავიღუპები, წამართმევენ შენს თავს, არ დაგინდობს, უშენოდ ყველა აბუჩად ამიგდებს, დღეს მე და დედა გარეთ გაგყვარა.

ჰაიდარი ოი, ის საზიზღარი. ისა! ევედროს ღმერთსა ჩემს დღეგრძელობაზე, თორემ მაგისი დღეები დათვლილი იყო. მე დარწმუნებული არ ვიყავი, თუ აჭარას მიჰყიდდა ოსმალოს ფაშებს, მაგრამ როდესაც დავრწმუნდი გული შემომეყარა: თავბრუ დამესხა, პირში ენა ჩამივარდა, დიდხანს უიმედოთ სულ განაბული ვიდექი, თვალებიდან შეუშრობელი ცრემლები წამომსკდა, მაგრამ ბოლოს საიმედოთ კიდევ ღმერთი ვახსენე.

ნინო ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, მაგრამ ერთი და იმავე დროს იზრუნე შენს სიცოცხლეზე; ამას გთხოვ, ამას გემუდარები; ხომ იცი მე უშენოთ ვერ შემიძლიან ცხოვრება; თუ შენ რამე მოგივიდა, მე თავს მოვიკლავ.

ჰაიდარი შენი თავის მოკვლა—ჩემი შეურაცყოფა იქნება. შენ მოჰკალი მტერი, ეგ უდიდესი მსხვერპლი იქნება ჩვენი აჭარისა, თორემ თავის მოკვლა—ეგ შენი დამცირება იქნება. ნუ იზამ სილაჩრეს, გული მაგრათ შეინახე, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მე არა მიშავს რა ისმის ძაღლის ყეფა

ნინო რა ამბავია, ხომ არ მოდიან?!. ფანჯარას მივარდება არვინ სჩანს.

ჰაიდარი ნუ გეშინიან, დღეს ჯარს მოველით, უთუოდ ის იქნება! ისმის ჯარის სიმღერა „ჩარი რამა" ჰაიდარი ფანჯარას მივარდება ისინი არიან, მშვიდობით. ხანგძრლივ კოცნით გადაეხვევიან მერმეთ წამაისხავს ნაბადს და გადის, ნინო უკან მიჰყვება. ოთახში ბნელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ნინო, სადა ხარ? ვერ ხედავ, რომ დაღამდა? ლამფა რატომ აღარ აგინთია? მიიხედ მოიხედავს უი, თვალებო!.. რაზე შემოიპარე-ბოდა ვინმე მერე ამისთანა დროში. აანთებს დამფას რავდენ-ჯერ მითქომს, შვილო ნინო ოთახს მარტოკა ნუ გაუშვებ მეთქი მაგრამ შე ნც არ მომიკვდე, ერთ ყურში შედის მეორეში გადის, განა გამიგონია ყმაწვილი ქალის ეგრე გაუგებრობა? ეგ ხომ საძრახისია. ნეტავი სად წაშავდა? (ეძახის) ნინა... ქალო ნინა...

ნინო კუდისებიდან აქა ვარ, დედი, წალოში,

დედა საბრალო!.. როგორ ეშინია ოსმა-ლოების, წავიდე · ღმერთო!.. გადის. ცოტა ხნის შემდეგ ოსმალოს აფიცერი და ქემალ-ბეგი ლაპარაკით.

ქემალ ბეგი და ოსმალოს აფიცერი.

ქემ-ბეგი დიახ, ბრძანება თქვენი სისრუ-ლეშია მოყვანილი, ჩაქვის ხეობაში უკვე ჯარია გაგზავნილი, ირგვლივ აჭარას ყარაულები აყე-ნია, ისე რომ მტრის შემოსვლა შეუძლებელია

ოსმ. აფიც. მაგრამ, მე გული სხვას მეუბნება.

ქემ-ბეგი თქვენ დარწმუნებული იყავით რომ მტერს ეხლა იმდენი ძალა აღარ აქვს, როგორც წინეთ. ეხლა ისეთ იერიშებს ვერ მოიტანენ ჩვენზე. ჩვენ უფრო ძლიერი ვართ ისმის თოფის ხმა, ქემალ-ბეგი ფანჯარას მივარდება

ოსმ აფიც ეს რა არის?

ქემ ბეგი ეგ დარაჯია. აგერ შიკრიკიც მო-დის. შემოდის შიკრიკი. თოფის ხმა ზარბაზნის გრიალი სცენის დასასრულამდი ისმის.

შიკრიკი ბატონო. მდგომარეობა ცუდია, ირგვლივ მტერი შემოგვესია, ჩოლოქის ხიდი გადმოლახეს, და ერგეს სიმაღლისკენ მოიწევენ.

ქემ-ბ. მერე ჩვენი ჯარი არ ეწინააღმდეგება?

შიკრიკი ბევრი ტყვეთ წაიყვანეს, ბევრიც თავის ნებით გადადიან, ნამდვილი გურჯი ყო-ფილა ჰაიდარი, ისე დაგვაყარა მისმა ჯარმა ტყვია, რომ კუდით ქვა გვასროლინა.

ოსმ-აფიც გაბრაზებული შეჰყურებს ქემალბეგს ღალატია ქემალ-ბეგ!. გადის.

შიკრ. დიახ, აჭარა დაეცა, ღალატია!

ქემ ბეგი გასწი აქედან... შიკრიკი გადის ხმაურო-ბა ახლოვდება. აღსრულდა სიმართლე. ეხლა კი ვგრძნობ, რო ჩემს არსებას ელება ბოლო!

[იძრობს ხმალს და გარეთ გარბის] ფარდა

ა პ ო თ ე ო ს ი

იგივე ოთახი. ბნელა ოთახში მთვარის შუ-ქია შემოჭრილი, მარჯვნივ მხარეს მთვარის შუქში დგანან ჰაიდარი, ნინო და დედა საქა-რთველოს ეროვნული დროშით. დედას დრო-შის ყური უჭირავს, ქემალბეგი მათ წინ და-ჩოქილია და დროშას შეჰყურებს, დროშის ირგვლივ მკომარნი დგანან და მღერიან „სამ-შობლოს" (ფარდა ნელ-ნელა ეშვება.)

ს. ილორელი.



ნესტორ ალექსისძე მიმინაშვილი.

რევოლიუციისა და დემოკრატიის შუხანათ მტ-რების მიერ დანთებულმა ომის ცეცხლმა უკვე არა ერთი მსხვერპლი შეიწირა., უკვე დაიღვარა ერისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა უმ ნკო სისხ-ლის ნაკადულები..

ნესტორ ალექსისძე მიმინაშვილი, აი ერთი იმ გმართაგანი, რომელთაც არ დაიხიეს მოღალატე მტრების მიერ შემოსეულ ბრბოების წინაშე და თავისი სიცოცხლით, თვისი სისხლით ჩაუყარეს საფუძვე-ლი ჩვენი ერისა და თავისუფლების განადგურები საჭნის..,

ნესტორ ჯერ კიდევ ახალგაზდა 24 წლის ჭაბუკური სიცოცხლით სავსე მებრძოლი იყო.

ის სწავლობდა ფოთის საქ ლაქო სკოლაში, შემდეგ დუშეთის პრაპორშ-კების სკოლაში; იყო სარაყამიშის ბრძოლის ველზე, ბათუმში აფიცერთა რაზმში, ჯულელ ს რაზმში სილო ბოლოს სახალხო გვარდიის ერთ თვალსაჩინო ოფიცერთაგანი იყო.

ცნობები მისა მოკვლის შესახებ ერთობ მცი-რე გვაქს, ვიცით მხოლოდ სად. ატხალადან ჩამო-სულ ტელეგრაფისტ შურგულაძის გადმოცემით, რომ როცა ნესტორი სადგურის კარებში შედიოდა, მას თავში მოხვდა მტრის მიერ გამოსროლილი ტყვია და იქვე დაეცა...

განისვენე ტკბილათ მშობელი ქვეყნის თავი სუფლების მოტრფიალე მეხანათ მტრის მიერ მო-ღალატურათ განწირულო, ძმაო ნესტორ.

გაივლის წლები გაივლის საუკუნეები, მაგრამ საქართველოს დემოკრატია, ქართველი ერი არ დაივიწყებს თავის მშრომელ უკვდავ შვილებს. მშვი-დობით!..

ამხანაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დ ე დ ა

ქრისტიშობისთვის სუსხიანი ღამე იყო. ცივი ქარი საშინლად ზუზუნებდა და თოვლის ნამქერით ავსებდა სოფელ ნისლიანის მიწური სახლების და საბძლების კარ მიდამოს. მთელ არემარეს თოვლის ზეწარი გადაჰფარებოდა. სოფელი ძილს მისცემოდა, არ ეძინა მხოლოდ ბაბალეს, იგი წამომჯდარიყო ლოგინში და ღრმად დაფიქრებულს ჭრაქის შუქისათვის მიეშტერებინა თვალი. მეორე ღამეა მწარე ფიქრებისაგან ძილი არ მიეკარებია. დიდხანს იჯდა ასე გაშტერებული, ბოლოს უცბად წამოიჭრა, მიეყუდა ბუხარს და საშინელი ქვითინი მორთო.

—არა, მეტი აღარ შემიძლიან! წამოიძახა სასოწარკვეთილებით ბაბალემ: ანდრო, ჩემო ნუგეშო, ჩემო ერთად ერთო შვილო!.. რად მინდა მე უბედურს გამწარებული სიცოცხლე, თუ შენ აღარ დამიბრუნდები. ვაი თუ ცოცხალი აღარ ხარ? ან იქნებ მძიმეთ დაჭრილი მისუსტებულის ხმით ითხოვ შველას, პასუხად კი მხოლოდ ტყვიის ზუზუნი და ზარბაზნის გრიალი გესმის. სადა ვარ შენი უბედური მშობელი, რომ უკანასკნელად არ ჩაგიკრავ გულში და შენს უსიცოცხლო გვამზედ არ მოვიკლავ თავს. სადა ხარ, სადა ხარ დედამკვდარო ჩემო, თმა ხუჭუჭა ბიჭო! კვლავ მოსთქვამდა ბაბალე და გულსაკლავად ქვითინებდა.

ტირილით რომ გული მოიჯერა, ბაბალე მიეგდო საწოლზე; ძალზე მისუსტებულიყო, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. მას აგონდებოდა ის მწვავე წამები, როდესაც ანდროს ომში ისტუმრებდა. დედა-შვილი უკანასკნელად ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, ჰკოცნიდნენ დაუსიტყვოთ ღვრიდნენ ცრემლებს. მოაგონდა ანდროს სიტყვები.

—ეს მაწუხებს მხოლოდ, რომ სანამ აქ ვიყავი და დღიურათ ვმუშაობდი, ვაი ვაგლახით ვცხოვრობდით, ეხლა ვიღაა შენი პატრონი, ჯანი გაგიტყდა, შრომის თავი აღარა გაქვს.. ეჰ, ფუ ეშმაკო, რადროს ესაა? ეს ხომ სიმხდალეა, მტერი კარს მოგვდგომია, სამშობლოს უჭირს. ნუ სტირი დედი, ნახე ჩვენებიანთ ბიჭები რა სიხარულით და სიმღერით წავიდნენ ომში, გეგონებოდა ქორწილში მიეჩქარებიანო. გამხნევდი, ნუ იდარდებ, ნუ გეშინიან, მე მალე დავბრუნდები.

—ზეციერ მამასა ვთხოვ, ჩემის ცოდვილის პირითა, რომ იმან მოგიმართოს ხელი ყოველ საქმეში და გამარჯვებული გატაროს; მე ერთი ბეჩავი, დავრდომილი დედა-კაცი ვარ, თორემ, დედაშვილობამ, ისეთ გულზე ვარ, რომ შემეძლოს, მე თითონ წამოვიდოდი და მტერს შევებრძოლებოდი...

ბაბალემ უკანასკნელად ჩაიკრა შვილი გულში და დედა-შვილური ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა:

—ღმერთი გიძღოდეს, შვილო, წინ. ის იყვეს შენი ობლობის შემწე და მფარველი ..

გავიდა ხანი. ბაბალემ შვილისაგან მაინც ვერა გაიგორა, ხან ერთ მეზობელთან მიიჭრებოდა და ხან მეორესთან. მითხარით ღვთის გულისთვის, ეტყოდა იგი, ჩემი ანდროსი ხომ არა გაგიგიათ—რაო. ყველა ერთსა და იგივეს ეუბნებოდა: ჩვენი ძმებისაგან, შვილებისაგან მივიღეთ წერილი, მაგრამ ანდროზე არას იწერებიანო, გულ დაწყვეტილი, თვალ ცრემლიანი ბაბალე ბრუნდებოდა სახლში. საცოდავი მოხუცი უზომო დარდით გახდა, გაყვითლდა, წელში მოიხარა.

კვირა დღე იყო. ბაბალეს გულზე სევდა შემოსწოლოდა. იგი რაღაც წინასწარ გრძნობით იყო შეპყრობილი, მარცხენა თვალმა უთამაშა, აგერ ყვავის უსიამოვნო ჩხავილიც მოესმა.

—უი, დასწყევლა ჩემმა გამჩენმა, ამ საოხროს რაღა უნდა ჩემგან. ნეტა რა მომელის მე უბედურს... ი ბიჭს ხომ არა აუტყდარა.—უწინ იმის დედას გაუსკდეს დედამიწა ვიდრე ანდროს დაუშავდებოდეს რამე. მაგრამ წუხელისაც რომ ცუდი სიზმარი ვნახე. ოხ, ღმერთო, შენ დამიხსენ ყოველივე განსაცდელისაგან.

წირვის ზარი ჩამოჰკრეს. ბაბალე უცებ გამოერკვა, ფაციფუცით წამოისხა ძველი, დაკონკილი შალი, და გაეშურა ეკლესიისაკენ. დიდხანს იყო მუხლ მოდრეკილი და სასოებით ლოცულობდა, ბოლოს დაემხო ღვთის მშობლის ხატის წინ და თვალცრემლიანი ათრთოლებულის ხმით ავედრებდა ღმერთს თავის ერთად ერთ შვილს ანდროს და სთხოვდა იმის მშვიდობით დაბრუნებას.

წირვა უკვე გამოსულიყო. ეკლესიიდგან ხალხი გამოვიდა სახლებისკენ გაეშურა. ზოგი საყდრის გალავანში შეკრებილიყო და ახლად დაბრუნებული ჯარის კაცს ყურადღებით უსმენდნენ ომის ამბავს. იგი ჩამომჯდარიყო საფლავის ქვაზე. ცალი მკლავი შეხვეული ჰქონდა, სახე გამხდარი და გაყვითლებული.

—მერე რა უყავით იმ დაჭრილებს დატყვეებს, შეეკითხა ვიღაცა.

—რა უყავით და თან წამოვიყვანეთ, თუმცა ბევრი გზაში ლაიხოცა: ზოგი სიცივისგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიც სხვა და სხვა ავადმყოფობით. ჰეი, ბევრი კარგი ვაჟკაცი დაიხოცა, გაფუჭდა ბრძოლის ველზე და დაიღუპა ბევრი,—მაგრამ არც კი ჩვენ დავაყარეთ კეთილი, გაქვს სიცოცხლე, სულ ნაცარ ტუტა ავადინეთ, ისე გარბოდა მტერი უკან როგორც დამფრთხალი ნადირი, სად კლდეში ვარდებოდა, სად ღრეში' თითონაც აღარა გაეგებოდარა. ერთი საზარელი სანახაობა მიდგია ახლაც თვალ წინ, საღამოხანი იყო, მტერმა სროლა შეაჩერა. გამოველით ოთხიოდ კაცი წყლის მოსატანად თხრილებიდგან. უცებ საშინელი ჰექა ქუხილი შემოგვესმა, ყველანი შეშინებული დავეყარენით, ძირს. როცა გონს მოვედით შემოგვესმა კვნესა, დავინახეთ საწყალი მეხრიანთ ანდრო სისხლის მორევში ეგდო, ყუმბარის ნატეხს გულმკერდი გაეგმირა;

ამ სიტყვების გაგონებაზე იქვე მდგომმა ბაბალემ თავპირში წაიშინა:

—ვაი შენ დედასა შვილო! ანდრო!? გულშემზარავის ხმით შეჰბღავლა საბრალომ და გულშემოყრილი უგონოთ დაეცა... ყველა ბაბალეს მიეხვია, დედამიწაზე ეგდო შავ ძონძებში გახვეული, ჩონჩხებად ქცეული მოხუცი დედაკაცი. მღვდელი სცდილობდა წმინდა საიდუმლო მაინც მიეღებინებინა, მაგრამ კრიჭა ველარ გაუხსნა, ბაბალე უკვე გათავებულიყო.

,,განუსვენოს უფალმან, სადაც მართალნი განისვენებენ!‘‘ წარმოსთქვა მოძღვარმა და პირჯვარი ზადასწერა...

მ. წინამძღვრიშვილისა



დომენტი მელ ძე ართილაყვა
(1895-1918)

ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი, ბალშევიკურ მოძრაობის გამა ხარკოვში მომწყდეული სადაც დაიღუპა.

## პოლოსა ოჟში

არა, მამა გიცხონდა, რა მეომარი ვარ და: არშინი რო დამივარდება და დაიბრახუნებს, თოფის ხმა მგონია, გული საგულედგან მივარდება. ჩემი ცოლი თაქუა ამიტყდა: გინდა თუ არა ჯაენში უნდა წახვიდე, ვრაცუებთან ჩვენი სამშობლო ჰაიასტანის დასაცავათაო. ვებნევი: მუდრეგ, არა მამა ყოფილა ჩემი მეომარი თუ პაპა მეთქი. ან რომელ სამშობლოზე მელაპარაკები? ჰაიასტანშა მე დაბადებულვარ, თუ შენა მეთქი. ლათაიებიც კი დაუწყედა: ჩიტი სადაც გაიზრდება იმის ბადადი ის არის, ურიის პური ჭამე იმის ხმალი მოიქნიე მეთქი. ჰამა არა ქნა: ლოთი კაცივით გაჭირვეულდა და მთელი ტერტერა და ტირაცუები თავზე დამახვია.

ტერტერებმა გამიკეთეს ზასედანიე და მითხრეს —პოლოს, იცოდე თუ ეხლა არ წახვალ ვაენში, ჩვენ სამშობლო ჰაიასტანის დასაცავათ, იცოდე საყდარში არ შაგიშვებთ, ზიარებას არ მიგაღებით, ნებით, ჭამაც ტიფლის რომ აგიღებთ წილი აღარ გექნებაო. ეს კიდევ რა, კაცო ჩემა ცოლი თაქუა ხელის აღებით დამემუქრა. ჩავარდი რადა ერთ დუმიტში. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ იმას ველარსად წაუვედი, რომ ჩემი ცოლი თაქუა ხელს აიღებდა,- ტერტერა საყდარში არ შემიშვებდა ზიარების მი, საღებათ, ჭამაც ტიფლისში წილი აღარ მექნებოდაშევჯექ ეშმაკის ცხენზე და გავწიე ერევნისკენ. გზა, ი რომ ჩემა ნაცნობი ქართველები მხვდებოდნენ გამარჯვებას მეუბნევოდნენ,—ან ვინ რას იფიქრებდა კაცო ჩემს ვაენში წასვლას: ორმოცი წლის კაცი ვარ, ჯერ ნათლისღებას არ დავწრებულვარ, თოფის სროლა იციანმეთქი. ყველას ეგონა მე სადმე სავაჭროდ მივდიოდი და გზას მილოცავდნენ. რაც მე გზაში დღეები დამადგა, იმის აპისანიე რო გავაკეთო, რაც მისხნიკოვის მადაზიაში ქაღალდებია, ისიც არ ეყოფა. მაგრამ რაც მე ვაენში დღე დამადგა, ვინ პირძაღლი ტიფლისი კი არა პეტერბურღიც რომ მაჩუქონ მაინც ვაენში წასვლას აღარ მოვინდომებ.

მუშა ზ. ზემოხანდაკელი.

## გმირის სიმღერა

მინდა ვიბრძოლო გამიშვით, მოხდეს რაც მოსახდენია,
რომ მოღალატის სისხლს არ ვსვამ, მედება ცეცხლის გენია...
გამიშვით, ხმალი მომეცით ხმალი ფოლადი, მჭრელია,
იცოდეთ ჩემი მარჯვენა ჩემი სამშობლოს სხნელია..
მეეო რაც ბოდმით ვიკვნესე, სიცოცხლე განვლე ბნელშია...
ეხლა მსურს თავისუფლების დროშა მეჭიროს ხელშია...

ა. კლიმიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გენერალ-გუბერნატორი შ. ნ. მაღლაკელიძე.**

ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობას და საკუთარი წესწყობილების შექმნას უამრი მტერი ჰყავს, მტერი არა მხოლოდ გარეშე, უცხო, რომელსაც ჩვენი დაჩაგრული ერის აღდგენა და დემოკრატიის გამარჯვება გულს უკლავს, არამედ მტერია ის ვითომ და ჩვენი მოხელე, რომელსაც სახელმწიფო ენდობა, იგი კი სახელმწიფოს ნდობას ფეხქვეშ სთელავს თვისი უვიცობით ყალბი დემოკრატობით, ცრუ მოქალაქეობით, არა მამულიშვილობით. ჩვენი ქვეყნის დარჯი, ყოველი ახალი წესწყობილების გამამაკვიდრებელი ყოველი ერთგული მმართველი ასი ყურით და ასი თვალით უნდა იყოს აღჭურვილი, რომ გარეშე ანუ შინაგანმა მტერმა ჩვენს თავისუფლებას სამარე არ გამოუთხაროს. იშვიათად გვყავს ასეთი მოხელე-მართველნი, მაგრამ ვინც-კია თითით საჩვენებელი. ერთი ასეთი სასახელო 'საადმინისტრაციო მოღვაწეთაგანია აწინდელი თბილისის საგუბერნიო კომისარი, შ. ნ. მაღლაკელაძე, წლოვანობით ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ რწმენით, ცოდნით დ გამოცდილებით აგრეთვე სამშობლოსა და დემოკრატიის სიყვარული თთვალსაჩინო მოღვაწე.

იგი ჯერ 25 წ. თუ იქნება უმაღლესი სასწავლებლიდან სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ახალციხეში აქ მოასწრო რევოლიუციამ. აქ სათავეში ჩაუდგა ყველა რევოლიუციანურ ორგანიზაციას; იყო ახალციხის კომისრად; შეადგინა ქართველ-სომეხთ ჯარები; იყო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ; მთავარსარდლად, ქუთაისის მაზრის კომისრად აქედან თბილისის საგუბერნიო კომისრად თელავის მაზრის გენ.—გუბერნატორად; სადაც მოსპო ყაჩაღთა ბრბოები; თბილისის და გორის მაზრები გენერ.—გუბერნატორად; თბილისის გენ.—გუბერნატორად, ბოლოს ბორჩალოს მაზრის გენ.—გუბერნატორად; როგორც მმართველი ფაქიზი; ჯენტლემანი; კეთილ შობილი ადამიანი და რესპუბლიკის ფხიზელი მმართველია.—ნურც დაგველევა ასეთი მმართველნი.

## ნარევი

**ქართული ოპერები** დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' და ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'' დაიდგა სახელმწიფო თეატრში. შთაბეჭდილება ძლიერი იყო. დაწვრილებით შემდეგ.

**კომპოზიტორებს** დ. არაყიშვილილისა და ზ. ფალია'შვილს იუბილე გადაუხადეს პირველს 15 წ. ხოლო მეორეს 25 წ. მათს ბიოგრაფიებს შემდებ დავბეჭ.

**მთავრობამ** ათასათასი თუმნით დასაჩუქრა დამსახურებული კომპასიტორნი დ. არაყიშვილი და ზ. ფალიაშვილი. გარდა ამისა ორივეს ებოძა ჯილდო ხელოვანთა საქართველოს გერბი ქნარზე.

**ალ. წუწუნავა** თბილისის კონსევატორიაში მიიწვიეს საოპერო კლასების ხელმძღვანელად და დრამატიულ ხელოვნების ლექტორად.

**მელ ბალანჩივაძის** ოპერა .,თამარ ცბიერი'' ამ მოკლე ხანში დაიდგმის სახელმწიფო თეატრში.

**რუსი საოპერო მსახიობნი** და გუნდი დიდის ხალისით სწავლობენ ქართულს წარმოდგენილ ოპერებში თავი ისახელეს და მადლობაც დაიმსახურეს.

**ელო ანდრონიკაშვილი** თბილისში ცეკვის კურსებს ადგენს.

**ახალგაზრდა კომპოზიტორ** დოლიძის ოპერეტას ,.კოტე და კატო'' არტისტ. სან-ის თეატრში დაიდგმის მარტში.

**ინგლისელთა დრმ. დასი** შესდგა და წარმოდგენებს მართავს არტისტ. საზ. თეატრში,

**ახალგაზრდა მგოსანი** დ. ქანჭაფელი სწერს ახალ ორგინალურ პიესას ,,ჩოლოქი'' რომელშიაც დასურათებული იქნება 1918 წ. 8 აპრილის ჩოლოქთან მომხდარა ამბები.

**რეჟისორი თანაშეწე** შაქრო ბერიშვილი ახალციხესთან ბრძოლაში სასახელო მონაწილეობისთვის დაჯილდოვებული იქმნა ქართული ლეგიონის ორდანით თამარი ვარსკვლავზე.

**თპილისში გამოვიდა** რუსული სათეატრო-სახელოვნო ჟურ. ,,ხელოვნება'' პირველი ნომერი კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს.

**ახალი პიესა** „ჰიმენეს ჯაჭვები'',4 მოქ. დასწერა დ. კასრაძემ.

**ქართული დრამ. სტუდიის** მთავარი რეჟისორი გ. ჯაბადარი და სამხატვრო საბჭოს თავმჯომარე შ. ამირაჯიბი წარუდგნენ მთავრობის თავჯდომარეს და ძველი ქართული თეატრის გადასაკეთებლად დახმარება სთხოვეს. ნ. ჟორდანიამ დახმარება აღუთქვა.

ჟურ. ,,**თეატრი და ცხოვრება**'' ფონდის გასაძლიერებლად გასულ კვირას ქართ. კლუბში ქიონა [ეკატირინე] სვიმონის ასული ბენდუქიძის დიასხლისობით გაიმართა დიდი სამუსიკო-სალიტერატურო-სამხატვრო საღამო, საღამოში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სახელგათქმულმა მგოსან მსახიობებმა, და მოცეკვავებმა: ი. გრიშაშვილმა, ვანო სარაჯიშვილმა, ლევ, მეტრეველმა, ბახუტაშვილმა-შელგინისამ, ელო ანდრონიკაშვილმა, ინაშვილმა, ვ. ლორდქიფანიძემ, ალბერტმა, აგრეთვე პროგრამის გარეშე კნ. მარიამ თარხნიშვილისამ, რომელთაც თავისი საუცხოო კითხვით, სიმღერით თუ ცეკვით დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება, რისთვისაც საზოგადოებისგან მხურვალე ტაში და ვაშა დაიმსახურეს. ამათ გარდა საღამოს რიგიანად ჩატარებას ხელს უწყობდნენ უპირველეს ყოვლისა თვით დიასახლისი ქიონა ს. ბენდუქიძისა, ანასტასია ბარხიმის ასული ჯაიანისა თინა; (ვალენტ.) კონსტ. დვალის ასული; მარიამ ილია ჯაიანის ასული; ნინო მიხეილ ცისკარიშვილის ასული; ჭავჭავაძის ასლნი თამარ დიმიტრი რაკოვის ასული; ნინო ისიდორე დოლიძის ასული; ელზა მაიერის ასული. იოელ არტემისძე მაისურაძე მიხეილ ბეს. კუხიანიძე ს. წერეთელი; დანიელ თად. დვალი გრ. მაჭავარიანი; მარგო ი. პაპიძის ასული ამასთანავე ხელი მოგვიმართა ქართ. კლუბის მამასახლისმა გ. გ. ქართველიშვილმა, ყველა ამათ რედაქცია უგულათადესს მადლობას უძღვნის.—ამავე საღამოს ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს:

ქიონა (ეკ.) სვიმონის ასულმა ბენდუქიძისამ პირადი შრომის გარდა ნაღდად —1000 მან.
მიხეილ ბაშარულმა —450 მან.
ს. ა გ. ჯავახიშვილმა —150 მან.
არ. ბილანიშვილმა —40 მან
უცნობმა —10 მან.

ჟურ. ,,**თეატრი და ცხოვრების**'' ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ:

1] ი. ბ-სგ-ნ —75 მ.
2) პროვიზორ მიხ. ჩხეიძისგან —20 მ.
3) ნ. ნ-ძისგან —25 მ.
4) ზალვა და შურა ნადარეიშვილებისგან —20 მ.
5) ელ. სილ. ბილანიშვილისგან —50 მ.
6] ივ. ასკურავასგან შეკრებილი —30 მ.
7] ზ. თოიძისგან —50 მ.
ს. ტარუაშვილისგან —50 მან.

ყველა ამათ დიდს მადლობას ვუძღვნით. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**